ხელშეკრულება №925/12

ქ. თბილისი 9 ნოემბერი 2012 წ

ერთის მხრივ **შპს „კოლხეთი 90”**, შემდგომში “მეიჯარე”, დირექტორის, ნუგზარ კახაიას სახით, დაბადებული 06.02.1955წ, მცხ: თბილისი, თ/დ 3 მ/რ, 2-კვ, 28-კორპ, ბ-92, მოქალაქის პირადობის მოწმობის №დ0758324, პირადი №01019042892, გაცემული 22.08.2005წ, თბილისის ნაძალადევის სმრ-ს მიერ, რომელიც მოქმედებს წესდების საფუძველზე და **შპს “მობიტელი”**, შემდგომში “მოიჯარე”, მისი გენერალური დირექტორის სერგეი ზაკურაევის მინდობილი პირის რამაზ ჩაჩანიძის სახით, დაბადებული 26.08.1964წ., მცხ: ქ. თბილისი, თემქა მე-4 მ/რ კორპ. №9ა, ბ 6, მოქალაქის პირადობის მოწმობის №გ1349636, პირადი №01021007982, გაცემული 18.11.2009წ. სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ისნის სამსახურის მიერ, რომელიც მოქმედებს თანახმად მინდობილობისა, გაცემული ნოტარიუსის – ნარგიზ მინდიაშვილის მიერ 22.12.2011 წელს, სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის №111398425, მეორეს მხრივ, შემდგომში ერთობლივად “მხარეებად”, ცალცალკე კი “მხარედ” წოდებულნი, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. მეიჯარე გადასცემს, ხოლო მოიჯარე მიიღებს დროებით მფლობელობაში და სარგებლობაში (იჯარით) არასაცხოვრებელ სათავსოს საერთო ფართით 10 კვ.მ., მდებარე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №55, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი **№01.16.01.008.003),** რომელსაც გააჩნია შემდეგი ტექნიკური და საიდენტიფიკაციო მაჩვენებლები: სარეგისტრაციო ზონა: თბილისი, კოდი 01; სექტორი: ჩუღურეთი, კოდი 16; კვარტალი №01; მიწის ნაკვეთი №008/003; ფართობი 3330.70 კვ.მ.; ნაკვეთის მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №55; უფლება: საკუთრება; ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო სამეურნეო; საკუთრება: შპს “კოლხეთი 90”, რადიოსატელეფონო კავშირგაბმულობის საბაზო სადგურის და ანძის განსათავსებლად (შემდგომ-სს).

მეიჯარე საშუალებას აძლევს მოიჯარეს განათავსოს შენობის სახურავზე (კედლებზე) სს ანტენები.

სს აღჭურვილობა და სს ანტენები ხელშეკრულების ტექსტში ერთობლივად მოიხსენიებიან როგორც “ობიექტები”.

1.2 წინამდებარე ხელშეკრულებით მხარეები ადასტურებენ, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საიჯარო ფართი 2012 წლის 01 ნოემბრის მდგომარეობით უკვე გადაცემულია მოიჯარის ფაქტობრივ სარგებლობაში

2. მეიჯარის უფლება-მოვალეობანი

2.1 მეიჯარე საკუთარ თავზე იღებს შემდეგ მოვალეობებს:

2.1.1. მხარეთა მიერ წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერიდან 5 კალენდარული დღის განმავლობაში მიღება - ჩაბარების აქტის საფუძველზე გადასცეს მოიჯარეს დროებით მფლობელობასა და სარგებლობაში (იჯარით) წინამდებარე ხელშეკრულების 1.1 პუნქტში მითითებული სათავსოს. აგრეთვე უზრუნველყოს შენობის სახურავზე (კედლებზე) მოიჯარის მიერ სს ანტენების განსათავსებლად ხელშემწყობი პირობების შექმნა, ხელშეკრულების 1.1. პუნქტის მიხედვით. მიღება-ჩაბარების აქტში მიეთითება სათავსოს შემადგენლობა და ტექნიკური მდგომარეობა.

2.1.2. იმ შემთხვევაში, თუ მეიჯარე არ არის დღგ-ს გადამხდელი, ის ვალდებულია წარმოუდგინოს მოიჯარეს საქართველოს საგადასახადო ორგანოების მიერ გაცემული შესაბამისი ცნობა, წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან, არაუგვიანეს 10 კალენდარული დღისა.

2.1.3. მეიჯარე პასუხისმგებელია საგადასახადო ორგანოებთან ყველა გადასახადის გადახდაზე, რაც დადგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

2.1.4. საშუალება მისცეს მოიჯარეს, მისი მოთხოვნით, გაიყვანოს მეიჯარის ტერიტორიაზე კავშირგაბმულობის ოპტობოჭკოვანი ხაზი (კოხ) მოიჯარის საბაზო სადგურის აღჭურვილობამდე, მოიჯარის ხარჯზე. ამგვარი სამუშაოების ჩატარების დროს მეიჯარის ქონების დაზიანების შემთხვევაში, მოიჯარე კისრულობს აუნაზღაუროს მეიჯარეს აღდგენითი სამუშაოების ხარჯი.

2.1.5. მეიჯარე საშუალებას მისცემს მოიჯარეს გაიყვანოს ელექტროკვების ერთი ძალოვანი კაბელი (სიმძლავრე 10 კვტ-მდე) იჯარით აღებულ ფართამდე სს “თელასის” ტექ. პირობის საფუძველზე.

2.1.6. აწარმოოს სათავსოების გეგმიური კაპიტალური რემონტი, მოიჯარის წინაწარი

შეტყობინებით არანაკლებ 10 კალენდარული დღისა

2.1.7. უზრუნველყოს მოიჯარის (მოიჯარის თანამშრომელთა) ყოველდღიური ოცდაოთხსაათიანი შეღწევა სათავსოებში და ობიექტებზე, ობიექტის ტექნიკური მომსახურებისა, ექსპლუატაციის და მონტაჟის მიზნით, აზომვითი და სხვა სახის ინსტრუმენტების, იარაღების და აღჭურვილობის შეტანის უფლებით;

2.1.8. საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას არა მოიჯარის მიზეზით გამოწვეული ავარიის შედეგები, რაც ხელს უშლის წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესრულებას;

2.1.9. მეიჯარე ვალდებულებას იღებს წინასწარ, წერილობითი ფორმით გააცნოს მოიჯარეს ობიექტის შიდა და სასაშუო რეჟიმის წესები, და აგრეთვე ამ წესების ნებისმიერი დამატება და ცვლილება.

2.1.10. შესაბამისი სიტუაციების არსებობის შემთხვევაში (განგაში, რაც გამოწვეულია ქურდობით, დაზიანებით ან სხვა ქმედებებით) მეიჯარე იღებს ვალდებულებას დაუბრკოლებლად შეუშვას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ „დაცვის პოლიციის დეპარტამენტი“-ს თანამშრომლები იჯარით აღებულ ფართში (მეიჯარის სარგებლობაში არსებული შენობა-ნაგებობა, მიწა) შესაბამისი აღმკვეთი ღონისძიებების ჩატარების მიზნით.

2.1.11. მხარეები თანხმდებიან, რომ განგაშის სიგნალის მიღება შენობაში (მეიჯარის სარგებლობაში არსებული შენობა-ნაგებობა, მიწა) შესვლის მომენტში დადასტურებულ შეიძლება იქნას მხოლოდ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ „დაცვის პოლიციის დეპარტამენტი“-ს თანამშრომლების ზეპირი განცხადებით.

შენიშვნა: 2.1.10. და 2.1.11. პუნქტები გამომდინარეობს შპს „მობიტელსა“ და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ „დაცვის პოლიციის დეპარტამენტს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულებით.

2.1.12. მეიჯარის მიერ გამიზნულად მოიჯარესათვის შენობაში ელექტრომომარაგების გამორთვისას მეიჯარე ვალდებულია, უმოკლეს ვადებში აღმოფხვრას ხარვეზი, მაგრამ არა უმეტეს 6 საათისა.

2.2. მეიჯარეს გააჩნია შემდეგი უფლებები:

2.2.1. მეიჯარეს აქვს შენობაში შეღწევის უფლება სარემონტო, პროფილაქტიკური და სხვა სახის სამუშაოების ჩატარების მიზნით, რომლებიც დაკავშირებულია იმ სათავსოს და\ან შენობის ტექნიკურ მომსახურებასთან, რომელშიც მდებარეობს სათავსოები. ამასთან, მეიჯარემ დროულად და წერილობითი ფორმით უნდა აცნობოს მოიჯარეს მითითებული სამუშაოების სათავსოებში ჩატარების შესახებ (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებული სიტუაცია მოითხოვსა სარემონტო სამუშაოების დაუყოვნებლივ ჩატარებას) ამასთან, მეიჯარე ვალდებულებას იღებს, ყველა ზომა მიიღოს იმისთვის, რომ მინიმალური უხერხულობა შეუქმნას მოიჯარეს.

3. მოიჯარის უფლება – მოვალეობები

3.1 მოიჯარე საკუთარ თავზე იღებს შემდეგ ვალდებულებებს:

3.1.1. მიიღოს დროებით მფლობელობასა და სარგებლობაში (იჯარით) მეიჯარის მიერ გადაცემული სათავსო 2.1.1. პუნქტის შესაბამისად მხარეთა მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

3.1.2. სათავსო გამოიყენოს მხოლოდ წინამდებარე ხელშეკრულების პირობებით განსაზღვრული მიზნებისათვის.

3.1.3. იქონიოს სათავსო გამართულ მდგომარეობაში და სანიტარულ-ტექნიკურ, ხანძარსაწინააღმდეგო ნორმებთან შესაბამისობაში, ტექნიკური ექსპლუატაციისა და ხანძარსაწინააღმდეგო წესების დაცვით.

3.1.4. ხელშეკრულების შეწყვეტიდან 1 თვის განმავლობაში გაუკეთოს დემონტაჟი სს-ს და დაუბრუნოს სათავსო მეიჯარეს გამართულ მდგომარეობაში ნორმალური ცვეთის გათვალისწინებით, მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით.

3.1.5. დროულად გადაუხადოს მეიჯარეს საიჯარო გადასახადი მეიჯარის მიერ წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე იმ წესით, რაც დადგენილია წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 მუხლით.

3.1.6. საკუთარი ხარჯებით აწარმოოს სათავსოს მიმდინარე რემონტი.

3.1.7. დაიცვას მეიჯარის ტერიტორიაზე მოქმედი ობიექტის შიდა და სასაშუო რეჟიმი.

3.2. მოიჯარის უფლებები:

3.2.1. ყველა მოხსნადი გაუმჯობესება, განხორციელებული მოიჯარის მიერ, არის მოიჯარის

საკუთრება. მოიჯარეს უფლება აქვს, დემონტაჟი ჩაუტაროს მოხსნად გაუმჯობესებს წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ.

3.2.2. ამასთან, მხარეები შეთანხმდნენ, რომ მოხსნადად ითვლება ის გაუმჯობესებანი, რომლებიც მოიჯარემ საკუთარი ხარჯებით განახორციელა და რომლებიც შეიძლება მოცილდეს სათავსოებს (ჩაუტარდეთ დემონტაჟი) სათავსოების კონსტრუქციული ელემენტების მთლიანობის დარღვევის გარეშე (კონსტრუქციებისა და მოპირკეთების ჩათვლით).

3.2.3. საკუთარი ხარჯებით ჩაატაროს სათავსოების გადაგეგმარება, ხელახალი აღჭურვა და კაპიტალური რემონტი, რომლებიც გამოწვეულია მოიჯარის საჭიროებებით, მეიჯარესთან წერილობითი შეთანხმების საფუძველზე საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3.2.4. საკუთარი ხარჯებით გაატაროს დაცვის ღონისძიებები და ის ღონისძიებები, რომლებიც დაკავშირებულია სათავსოების ხანძარსაწინააღმდეგო, კონდიცირების და სავენტილაციო, ავარიულ ენერგო, წყალ და თბომომარაგების სისტემებთან, მეიჯარესთან და შესაბამის ორგანოებთან შეთანხმებით.

4. ანგარიშსწორების წესი

4.1. ყოველთვიური საიჯარო გადასახადის რაოდენობა შედგება მუდმივი და ცვალებადი ნაწილებისაგან: მუდმივი ნაწილი შეადგენს 1220 (ათასორასოცი) ლარს, დღგ-ს ჩათვლით, ხოლო ცვალებადი ნაწილი მოიცავს „მოიჯარის" კომუნალურ ხარჯებს და განისაზღვრება ყოველთვიური ხარჯების მიხედვით.

4.2. საიჯარო გადასახადი ექვემდებარება დარიცხვას მხარეების მიერ წინამდებარე ხელშეკრულების და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან.

4.3. გადახდა უნდა განხორციელდეს ყოველთვიურად. მეიჯარემ უნდა წარმოუდგინოს მოიჯარეს ანგარიშ-ფაქტურა ყოველი საანგარიშო პერიოდის მომდევნო თვის 5 რიცხვამდე, ხოლო მოიჯარემ უნდა გადაიხადოს საიჯარო გადასახადი, ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში.

4.4. საიჯარო გადასახადი გადაიხდება უნაღდო ანგარიშსწორებით მეიჯარის საანგარიშო ანგარიშზე.

4.5. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში საავანსო თანხის გადახდა არ განხორციელდება.

4.6. ხელშეკრულების თანახმად, საიჯარო გადასახადი არ შეიცავს მეიჯარის ხარჯების ანაზღაურებას მოიჯარის მიერ გამოყენებულ კომუნალურ და საექსპლუატაციო მომსახურებაზე. მოიჯარე ვალდებულებას იღებს, დამოუკიდებლად დადოს ხელშეკრულება ორგანიზაციებთან, რომლებიც გაუწევენ შესაბამის მომსახურებას და დროულად გადაიხადოს ამ მომსახურების ფასი მათ მიერ დადებული ხელშეკრულებების შესაბამისად. ამასთან, მეიჯარე ვალდებულებას იღებს, აღმოუჩინოს მოიჯარეს ყოველმხრივი თანადგომა კომუნალური მომსახურებებზე ამ უკანასკნელის მიერ ხელშეკრულებების დადებისას.

4.7. მხარის ვალდებულება სათანადო თანხის გადახდასთან დაკავშირებით, რაც გათვალისწინებულია ხელშეკრულებით, შესრულებულად ითვლება ამ მხარის საანგარიშსწორებო ანგარიშიდან შესაბამისი თანხის ჩამოწერის თარიღიდან.

5. მეიჯარის პასუხისმგებლობა

5.1. მეიჯარე ვალდებულია ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში წინასწარ ორი თვით ადრე წერილობით შეატყობინოს მოიჯარეს. ამ პუნქტში აღნიშნულ პერიოდზე მოიჯარის მიერ მეიჯარისათვის წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის გადახდა არ განხორციელდება.

6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და მისი შეწყვეტის წესი

6.1. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 3 წლით და მისი მოქმედება ვრცელდება 2012 წლის 01 ნოემბრიდან 2015 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით არსებულ პერიოდზე.

6.2. მოიჯარეს, რომელმაც სათანადოდ შეასრულა თავისი მოვალეობები, წინამდებარე ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ აქვს უპირატესი უფლებები სხვა პირების წინაშე საიჯარო ხელშეკრულების ახალი ვადით დადებაზე.

6.3. წინამდებარე ხელშეკრულება შესაძლოა შეწყდეს ვადამდე შემდეგ შემთხვევებში:

– მხარეთა შეთანხმებით;

--- მოიჯარის მიერ მეიჯარისთვის წინასწარი 2 თვიანი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე.

– საქართველის კანონმდებლობით გათვალისწინებულ საფუძვლებზე;

6.4. მოიჯარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება მეიჯარის მიერ თავისი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო წინასწარი ორკვირიანი წერილობითი შეტყობინების გზით.

7. ფორს-მაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების გამო, თუ დაამტკიცებენ, რომ ეს იყო გადაულახავი ძალის მქონე გარემოებების (ფორს-მაჟორული გარემოებები), ე.ი. მოცემულ პირობებში განსაკუთრებული და აღუკვეთავი გარემოებების შედეგი, ისეთების, როგორიცაა ხანძარი, წყალდიდობა ან სახელმწიფო ორგანოების მიერ გამოცემული ისეთი აქტი, რომელიც მხარეს არ შეეძლო განეჭვრიტა, აღეკვეთა ან მიეღო მხედველობაში წინამდებარე ხელშეკრულების დადებისას.

7.2. პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება ხდება მხოლოდ იმ პერიოდში, რომლის მანძილზეც მოქმედებს მოცემული გარემოებები ან მათი შედეგები.

7.3. აღნიშნული გარემოებების დადგომის ან შეწყვეტისას მხარე ვალდებულია წერილობითი ფორმით აცნობოს მეორე მხარეს ამის შესახებ 3(სამი) დღის მანძილზე შესაბამისად მათი დადგომიდან და შეწყვეტიდან. შეტყობინება უნდა შეიცავდეს მონაცემებს გარემოებების ხასიათისა და იმ გავლენის შესახებ, რაც შესაძლოა მათ იქონიონ მხარის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებაზე, ასევე, ვალდებულების შესრულების სავარაუდო ვადებს.

7.4. ზემოაღნიშნული შემთხვევებისას მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება გადაიწევს იმ ვადის შესაბამისად, რომლის მანძილზეც მოქმედებს ეს გარემოებები და მათი შედეგები.

7.5. იმ გარემოების შეწყვეტის დღიდან, რაც გახდა საფუძველი ვალდებულებების ვადის შეჩერებისა, ვადის მიმდინარეობა გრძელდება. ვადის დარჩენილი ნაწილი გრძელდება შეჩერებული დროის თანაზომიერად.

7.6. იმ შემთხვევაში, თუ ეს გარემოებები გრძელდება 30 დღეზე მეტი ხნის მანძილზე, ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს, შეწყვიტოს ხელშეკრულება მეორე მხარისთვის ზიანის ანაზღაურების გარეშე.

8. სხვა პირობები

8.1. მეიჯარე აცხადებს, რომ ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღისთვის ამ ხელშეკრულების 1.1 პუნქტით გათვალისწინებული ფართი (სათავსო) არ წარმოადგენს სასამართლო დავის საგანს, არ არის დაყადაღებული, არ არის გადაცემული იჯარით მესამე პირებისთვის.

8.2. თუ დადგინდება, რომ წინამდებარე ხელშეკრულების პ. 8.1.-ში მოტანილი მონაცემები უსაფუძვლოა და/ან არ შეესაბამება სინამდვილეს, მეიჯარე უნაზღაურებს მოიჯარეს ზარალს, მათ შორის ხელიდან გაშვებულ მოგებას, რომელიც მას მიადგა მეიჯარის მიერ აღნიშნული გარანტიების დარღვევის შედეგად.

8.3. მხარეების მიერ ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღიდან მეიჯარე წინამდებარით ვალდებულია, მოიჯარის წერილობითი თანხმობის გარეშე არ აწარმოოს რაიმე სახის იურიდიული და/ან ფაქტობრივი ქმედებები(რომელთა უსაფუძვლოდ უარყოფა მოიჯარეს არ შეუძლია), რომლის შედეგადაც შესაძლოა დაირღვეს ან შეიზღუდოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოიჯარის უფლებები.

8.4. მეიჯარე ვალდებულია მიიღოს მოიჯარის წინასწარი წერილობითი თანხმობა, რომ შენობის იმ ნაწილზე, სადაც დაყენებულია მოიჯარის კუთვნილი სს ანტენები, განათავსოს მესამე პირის კუთვნილი რაიმე სახის აღჭურვილობა.

8.5. შენობასა და/ან სათავსოზე საკუთრების უფლების გადაცემა მეიჯარისგან მესამე პირისთვის არ წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების შეცვლის ან შეწყვეტის საფუძველს.

8.6. თითოეული მხარე ვალდებულია დაიცვას სრული კონფიდენციალობა ნებისმიერ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება წინამდებარე ხელშეკრულებას.

8.7. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი დანართი ნამდვილია იმ შემთხვევაში, თუ ისინი გაფორმებულია წერილობითი სახით და ხელმოწერილია ორივე მხარის მიერ.

8.8. წინამდებარე ხელშეკრულების პირობები შესაძლოა შეიცვალოს ან შეიცვალოს მხოლოდ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, რაც ხელმოწერილი იქნება ორივე მხარის მიერ.

8.9. იმ შემთხვევებში, რაც არ არის დარეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, მხარეები ხელმძღვანელობენ საქართველოს კანონმდებლობით.

8.10. წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის ბათილად ცნობა არ იწვევს მთელი ხელშეკრულების ან მისი სხვა პუნქტების ბათილობას.

8.11. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მხარეთა დავები უნდა გადაწყდეს მხარეთა მოლაპარაკების გზით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის მანძილზე გადაეცეს განსახილველად ქ. თბილისის სასამართლოში.

8.12. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე სამ ეგზემპლარად, ერთი ეგზემპლარი მეიჯარესთვის, მეორე – მოიჯარესთვის და მესამე ეგზემპლარი რჩება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში. ყველა ეგზემპლარს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

მხარეთა ხელმოწერა და საბანკო რეკვიზიტები:

მეიჯარე:
შპს "კოლხეთი 90"

იურიდიული მისამართი:
ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №55

საბანკო რეკვიზიტები:
სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია", ცფ
ა/ა GE45VT6600000078043608
ბანკის კოდი: UGEBGE22
ს/კ - 202886305

მეიჯარის სახელით:
დირექტორი

ნუგზარ კახაია

მოიჯარე:
შპს "მობიტელი"

იურიდიული მისამართი:
ქ. თბილისი, ბამბის რიგი, №8

საბანკო რეკვიზიტები:
სს „საქართველოს ბანკი", ცფ
ა/ა GE17BG0000000118376200
ბანკის კოდი: BAGAGE22
ს/კ - 204450584

მოიჯარის სახელით:
გენერალური დირექტორის ს. ზაკურაევის მინდობილი პირი

რამაზ ჩაჩანიძე

შპს "კოლხეთი-90"-ის პარტნიორთა კრების

ოქმი

19 ნოემბერი 2012 წ. ქ. თბილისი

2012 წლის 19 ნოემბერს შედგა შპს "კოლხეთი-90"-ის პარტნიორთა კრება.

კრებას ესწრებოდნენ:

1. ნუგზარ კახაია - 42,1%
2. ოთრ დავითაია - 29,2%
3. დემურ დიასამიძე - 5,2%

სულ კრებას ესწრებოდა 76,5%-ის მფლობელი პარტნიორები.

წესდების თანახმად კრება უფლებამოსილია გადაწყვეტილების გამოტანაზე, რადგანაც მას ესწრება 60%-ზე მეტი წილის მფლობელი პარტნიორი.

დღის წესრიგი:

- მობილური კავშირგაბმულობის კომპანია "ბილაინთან" ხელშეკრულების გაფორმება შპს "კოლხეთი-90"-ის შენობის სახურავზე (ქ. თბილისი, გ. ჩუბინაშვილის ქ.55) ანტენის განთავსებაზე.

ინფორმაცია წარმოადგინა კრების თავმჯდომარე ნუგზარ კახაიამ. მან თქვა, რომ არის წინადადება კომპანიის "ბილაინის" მხრიდან გაფორმდეს ხელშეკრულება ანტენის განთავსებაზე, ხელშეკრულება არის სამწლიანი.

აზრი გამოთქვეს:
ოთარ დავითაიამ და დემურ დიასამიძემ, მათ განაცხადეს თანხმობა.

კრებამ დაადგინა:

1. გაფორმებული იქნას სამწლიანი ხელშეკრულება "ბილაინთან" შენობის სახურავზე ანტენის განთავსებაზე.
2. ხელშეკრულების დეტალები და საიჯარო თანხა გადაწყვიტოს შპს "კოლხეთი-90"-ის დირექტორმა ნუგზარ კახაიამ, რადგანაც წესდების თანახმად იგი უფლებამოსილია წარმოადგინოს შპს "კოლხეთი-90".

ხელის მოწერები:

1. _____ (ნ. კახაია)
2. _____ (ო. დავითაია)
3. _____ (დ. დიასამიძე)

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი **N 01.16.01.008.003**

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია	მომზადების თარიღი
N 882014531886 - 06/10/2014 14:19:59	**10/10/2014 18:38:27**

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
თბილისი	ჩუღურეთი		
01	**16**	**01**	**008/003**

მისამართი: ქალაქი თბილისი , ქუჩა ჩუბინაშვილი , N 55

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
დაზუსტებული ფართობი: 3330.70 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი:**8;**
შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი:შენობა-ნაგებობები

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 012005023795 , თარიღი 31/05/2005

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- საქართველოს კანონი "ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ."
- ქ. თბილსის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1995 წლის 8 ივნისის N11.37.440. დადგენილება.
- საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს კოლეგიის 1995 წლის 23 ოქტომბრის N49.19.1010 დადგენილება.
- ქ. თბილისის ჩულურეთის რაიონის სასამართლოს 1996 წლის 15 იანვრის დადგენილება (რეგისტრაციის N03/4-213).
- საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს მიერ 1996 წლის 7 მარტს გაცემული საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა N359.
- ქ. თბილისის არქიტექტურისა და პერსპექტიული განვითარების საქმეთა დეპარტამენტის მიერ 1995 წლის 22 აგვისტოს გაცემული და 2003 წლის 29 აგვისტოს კორექტირებული მიწის ნაკვეთის გეგმა.

მესაკუთრეები:
შპს "კოლხეთი-90" , ID ნომერი:202886305

მესაკუთრე:
შპს "კოლხეთი-90"

აღწერა:

იპოთეკა

განცხადების რეგისტრაცია ნომერი 012005070550 თარიღი 27/12/2005	იპოთეკარი: სააქციო საზოგადოება "გაერთიანებული ქართული ბანკი"-ს ცენტრალური ფილიალი; მესაკუთრე: შპს "კოლხეთი-90"; საგანი:მიწის ნაკვეთი ფართით 3330.7 კვ.მ (დაზუსტებული) და შენობა-ნაგებობები.;
	იპოთეკის გენერალური ხელშეკრულება, გაფორმებული 2005 წლის 27 დეკემბერს, დამოწმებული ნოტარიუსის ნ. ჯანხოთელის მიერ რეესტრით N1-10382,
განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882008237237 თარიღი 29/07/2008 12:47:14	იპოთეკარი: სააქციო საზოგადოება "ვითიბი ბანკი ჯორჯია"-ს ცენტრალური ფილიალი; მესაკუთრე: შპს "კოლხეთი-90" 202886305; საგანი:დაზუსტებული მიწის ფართობი:3330.70 კვ.მ და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები .;
	იპოთეკის ხელშეკრულება, რეესტრის ნომერი N1-6059, დამოწმების თარიღი29/07/2008, ნოტარიუსი ნ.ჯანხოთელი
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 30/07/2008	

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

სარგებლობა

განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882011157779 თარიღი 05/04/2011 13:04:49	მეიჯარე: შპს "კოლხეთი-90" 202886305; მოიჯარე: ი/მ "ლალი ესებუა" 01022012340; საგანი:I სართულზე არსებული 25 კვ.მ ფართი ; ხელშეკრულების დაღების თარიღი:25/09/2010; საბოლოო თარიღი:01/09/2011;
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 11/04/2011	ხელშეკრულება ფართის იჯარით გაცემის თაობაზე, გაფორმებული 2010 წლის 25 სექტემბერს ,
განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882011157830 თარიღი 05/04/2011 13:12:03	მეიჯარე: შპს "კოლხეთი-90" 202886305; მოიჯარე: ი/მ "ბეჟანი ღვინიაშვილი"01019039590; საგანი:I სართულზე არსებული 40 კვ.მ ფართი ; ხელშეკრულების დაღების თარიღი:05/04/2011; საბოლოო თარიღი:01/01/2012;
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 11/04/2011	ხელშეკრულება ფართის იჯარით გაცემის თაობაზე , დამოწმების თარიღი05/04/2011, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882011157809 თარიღი 05/04/2011 13:09:09	მოიჯარე: ი/მ მალხაზ ნასყიდაშვილი35001096346; მესაკუთრე: შპს "კოლხეთი-90" 202886305; საგანი:I სართულზე ფართი 18 კვ.მ.; საბოლოო თარიღი:01/04/2012;
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 11/04/2011	ხელშეკრულება იჯარით გაცემის თაობაზე, დამოწმების თარიღი05/04/2011, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

განცხადების რეგისტრაცია ნომერი **882011157980** თარიღი **05/04/2011 13:34:45**	მოიჯარე: ი/მ პაატა სვანიძე43001002129; მესაკუთრე: შპს "კოლხეთი-90" 202886305; საგანი:I სართულზე ფართი 25 კვ.მ.; საბოლოო თარიღი:01/01/2012;
უფლების რეგისტრაცია: თარიღი **11/04/2011**	**ხელშეკრულება იჯარით გაცემის თაობაზე, დამოწმების თარიღი05/04/2011, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო**
განცხადების რეგისტრაცია ნომერი **882012310910** თარიღი **02/07/2012 15:12:03**	მოიჯარე: შპს "ხაბაზი 77" 404949240; მესაკუთრე: შპს "კოლხეთი-90" 202886305; საგანი:ფართი: 220.00 კვ.მ.; საბოლოო თარიღი:01/07/2013;
უფლების რეგისტრაცია: თარიღი **06/07/2012**	**ხელშეკრულება იჯარის გაცემის თაობაზე, დამოწმების თარიღი02/07/2012, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო**
განცხადების რეგისტრაცია ნომერი **882013050264** თარიღი **08/02/2013 12:16:14**	მეიჯარე: შპს "კოლხეთი-90" 202886305; მოიჯარე: შპს "მობიტელი" 204450584; საგანი:მე-4 სართული, ფართი 10 კვ.მ; საბოლოო თარიღი:31/10/2015;
უფლების რეგისტრაცია: თარიღი **14/02/2013**	**იჯარის ხელშეკრულება, დამოწმების თარიღი08/02/2013, სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო**
განცხადების რეგისტრაცია ნომერი **882014241684** თარიღი **13/05/2014 13:15:12**	მოიჯარე: შპს "სილქნეტი" 204566978; მესაკუთრე: შპს "კოლხეთი 90" 202886305; საგანი:5 კვ.მ. ფართი სახურავზე; ვადა:2 წელი;
უფლების რეგისტრაცია: თარიღი **19/05/2014**	**იჯარის ხელშეკრულება, დამოწმების თარიღი13/05/2014, სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო**
განცხადების რეგისტრაცია ნომერი **882014531886** თარიღი **06/10/2014 14:19:59**	გამქირავებელი: შპს "კოლხეთი 90" 202886305; დამქირავებელი: შპს "ჯეოსელი" 203841940; საგანი:20 კვ.მ ფართი სახურავზე.; საბოლოო თარიღი:06/10/2017;
უფლების რეგისტრაცია: თარიღი **10/10/2014**	**ქირავნობის ხელშეკრულება, დამოწმების თარიღი06/10/2014, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო**

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge